სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 2018/83

ქ. თბილისი 12 თებერვალი 2018 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ვიდეოსკოპი"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვალერი ოდიკაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „საქონლის" მიწოდებას.

1.6. „საქონელი" – „ხელშეკრულების" მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" – „ხელშეკრულების" პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

ვიდეო კამერის შტატივისა და კამერის განათების (აკუმლატორითა და დამტენით) შესყიდვა (**CPV- 323 51000; ბიუჯეტის** კოდი: **340101**) შესყიდვა;

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების ღირებულება" შეადგენს **2,585.00** ლარს.

3.2. „ხელშეკრულების ღირებულება" მოიცავს როგორც მისაწოდებელი „საქონლის" ღირებულებას, ასევე „ხელშეკრულების" შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. „საქონლის" მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ძოწენიძის ქუჩა N 4ა

4.2. „საქონლის" მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან - **2018 წლის 16 თებერვლის** ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული „საქონლის" ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) „მიმწოდებლისაგან" „საქონლის" მიღებისას შეამოწმოს მისი დასახელების, რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულების" პირობებთან.

5.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" „საქონლის" ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ვადებში.

5.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო „საქონელი", „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) „საქონლის" მიწოდებასთან ერთად, „შემსყიდველს" გადასცეს ყველა შესაბამისი დოკუმენტი

გ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას მიწოდებული „საქონლის“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი, „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით;
დ) „საქონლის“ მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

მუხლი 6. გარანტია

6.1. „ხელშეკრულების“ საფუძველზე შესყიდული „საქონლის“ საგარანტიო ვადაა **1 წელი** „საქონლის“ მიღების შესახებ საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.
6.2. თუ „საქონლის“ საგარანტიო ვადის ამოწურვამდე აღმოჩნდება ან გამოვლინდება ნაკლი ან/და დეფექტი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში გამოასწოროს აღნიშნული ნაკლი ან უზრუნველყოს ამ „საქონლის“ შეცვლა ახლით.

მუხლი 7. ინსპექტირება

7.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია ჩაატაროს ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, **რამაზ გვარჯალაძე.**
7.3. „შემსყიდველის“ შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული „საქონელი“, „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველის“წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ნაკლი ან უზრუნველყოს ამ „საქონლის“ შეცვლა ახლით.

მუხლი 8. საქონლის მიღება-ჩაბარება

8.1. „საქონელი“ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.
8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 8.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „საქართველოს **2018** წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ,,„შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;
9.2. ანგარიშწორება ხორციელდება მთლიანად „საქონლის“ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის“ წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
10.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. „ხელშეკრულებით“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.2. „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული „საქონლის“ მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი „საქონლის“ ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11.3. „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11.4. „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6. „მიმწოდებელს“, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა „ხელშეკრულების ღირებულების“ 5%-ის ოდენობით.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „ხელშეკრულების“ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ხელშეკრულების ღირებულების“ გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%–ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ უზრუნველყოფენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

„ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 დეკემბრამდე.**

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) – „მიმწოდებელთან“.

16.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა ტელ: 2 31 15 80 სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი TRESGE22 ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022 **მინისტრის პირველი მოადგილე** **გრიგოლ გიორგაძე**	**შპს „ვიდეოსკოპი''** ს.კოდი 405025896 მის: ქ. თბილისი/ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას I შეს., No3, ბინა 88 ტელ: 2 317 333 577 48 45 17 საქართველოს ბანკი ბ. კოდი BAGAGE22 ა/ა GE 44 BG 0000 0007 8269 3600 **დირექტორი** **ვალერი ოდიკაძე**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 2018/83-ის „დანართი“

	საქონლის/მომსახურების დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	CPV
1	შტატივი (Camgear MARK 6 GS)	1 ცალი	1704.00	1704.00	**323 51000**
2	კამერის განათება აკუმლატორით, დამტენით (SWIT S-2041F+S8040+S3010D)	1 ცალი	881.00	881.00	**323 51000**

საერთო ღირებულება შეადგენს: **2585.00** ლარს (დღგ-ს ჩათვლით)

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე	შპს „ვიდეოსკოპი” დირექტორი ვალერი ოდიკაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 12 თებერვალი 2018 წელი

მიმწოდებელი: **შპს „ვიდეოსკოპი“**

ხელშეკრულების ნომერი: **N2018/83**

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობების“ შესაბამისად ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მინისტრის პირველი მოადგილე

გრიგოლ გიორგაძე ----------

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი

რამაზ გვარჯალაძე ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი

სალომე გირგვლიანი ----------

შემსრულებელი

ზაურ ცხვარაძე ----------

608-10/05-3-201801261133

N 10/05-608 26/01/2018

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
მინისტრის პირველ მოადგილეს გრიგოლ გიორგაძეს

საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის
დეპარტამენტის უფროსის - I რანგის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელის დალი გოგოლაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

სამინისტროს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ესაჭიროება ვიდეო კამერის შტატივი და კამერის განათება აკუმულატორით, დამტენით.

გთხოვთ, დაავალოთ საფინანსო დეპარტამენტს ზემოთ აღნიშნული საქონლის შესყიდვა.

დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი.

პატივისცემით,

დალი გოგოლაძე

I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

From: Videoscope Limited

INVOICE#DEVNILTA SAMINISTRO_02_260118

დამკვეთი: დევნილთა და განსახლების სამინისტრო
საგანი: პროფესიონალური ტექნიკა

№	აღწერილობა	მოდელი	რ-ბა	ფასი ლარი (ერთეული)	ფასი ლარი (საერთო)
1	შტატივი	Camgear MARK 6 GS	1	1704	1704
2	კამერის განათება აკუმულატორით, დამტენით	SWIT S-2041F+S8040+S3010D	1	881	881
		სულ ლარი			**2585**

ფასი შეიცავს ტრანსპორტირების, განბაჟების და დ.დ.გ.-ს

რეკვიზიტები:	შპს "ვიდეოსკოპი", ს/კ 405025896 "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის № GE 44 BG 0000000782693600
მიწოდების ვადა:	1 დღე
გადახდის პირობა	წინასწარ
გაცემის თარიღი:	26.01.2018წ.
წინადადება ძალაშია:	10 დღე
ვიდეოსკოპი, დირექტორი:	ვალერი ოდიკაძე 2 317 333; 577484517 office@videoscope.ge

VIDEO SCOPE